სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/64

ქ. თბილისი 25 05 2020 წ.

ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 30 იანვრის №124 ბრძანების საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის ოქმი №79 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2020 წლის პირველი მარტიდან 2020 წლის პირველ აგვისტომდე 5 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2018–2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ს რექტორის 2019 წლის 09 აგვისტოს № 01-09-10/197 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2020 წლის 27 იანვრიდან 08 თებერვლის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 85 %-ისა, შეიძლება დაენიშნოთ სახელმწიფო სტიპენდია;
4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცეს საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს;
6. ამ ბრძანების შესაბამისად სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
   - სამშენებლო ფაკულტეტი – 93 სტუდენტი;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 77 სტუდენტი;
   - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 34 სტუდენტი;
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 37 სტუდენტი;
   - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 50 სტუდენტი;
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 33 სტუდენტი;
   - ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 63 სტუდენტი;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 109 სტუდენტი;
   - დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 3 სტუდენტი;
   - აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 69 სტუდენტი;
   - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 76 სტუდენტი;
   - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი - 38 სტუდენტი.
7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდეს და გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელი

რექტორი *დ.გურგენიძე*